# საბჭოთა ნაკრები მსოფლიოში უძლიერესია

„მხოლოდ IV ადგილზე" — ასეთი უცნაური სათაური ჰქონდა ჩვენი გაზეთის 1 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ ინფორმაციას მოჭადრაკე ქალთა VI ოლიმპიადაში საბჭოთა ნაკრების გამოსვლის თაობაზე. მართლაც საოცარი იყო: ფინალური ეტაპის 6 ტურის შემდეგ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა მთელი 2 ქულით ჩამორჩებოდნენ ლიდერებს — ბულგარეთისა და უნგრეთის გუნდებს...

და აი, ველოსიპედისტების ენით რომ ვთქვათ, დაიწყო სალიდერო ბრძოლა: ყოველ მომდევნო ტურში ჩვენები მაქსიმალური მონდომებით თამაშობდნენ და თანდათან ამცირებდნენ მანძილს, რომელიც ლიდერისგან აშორებდათ. მომდევნო ორ ტურში მათ აშკარად გამოიკეთეს მდგომარეობა და ახლა მხოლოდ 0,5 ქულით ჩამორჩებოდნენ ლიდერს — უნგრეთის ნაკრებს.

ბოლო ტურში სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ანგარიშით 1,5:0,5 დაამარცხეს უნგრელები. მსოფლიო ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა მ. ივანკასთან, ხოლო ლევიტინამ დაამარცხა ჟ. ვერეცი. ამასობაში რუმინელმა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს ინგლისის ნაკრებს და ამ ორ გამარჯვებულ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა — 13,5-13,5.

ეს პირველი შემთხვევაა, რომ ოლიმპიადის ფინიშის ხაზი ორმა გუნდმა ერთად გადაკვეთა. ოლიმპიური ჩემპიონის გამოსავლენად საბჭოთა და რუმინელი მოჭადრაკეები ორ დამატებით მატჩში (ორი ტური, ოთხი პარტია) შეხვდნენ ერთმანეთს. I ტურში გაფრინდაშვილმა მოუგო ე. პოლიქრონიადეს, ხოლო ალექსანდრიამ — პ. ბაუმშტარკს. II ტურში გაფრინდაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პოლიქრონიადესთან, რაც უკვე ოლიმპიადაში გამარჯვებას ნიშნავდა.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა (მწვრთნელი — საერთაშორისო დიდოსტატი ა. გიპსლისი) შეინარჩუნა მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სახელი.

ბულგარეთისა და უნგრეთის კოლექტივებმა 13-13 ქულა დააგროვეს, მაგრამ პირადი მატჩის მოგების წყალობით ბრინჯაოს მედლები ბულგარელებს ხვდათ.

• • •

ხურათებზე (მარცხნიდან): ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ი. ლევიტინა.

ა. საავოვის ფოტოები (საკდესი).








პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 199 (5229)

1974 წ. 8 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## [illegible]-74

● მანილა, 6 ოქტომბერი. ფილიპინების დედაქალაქში დაწყებულ დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ლიდერობს ტ. პეტროსიანი, რომელსაც ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულა აქვს. მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლ. კავალეკთან (აშშ) და მოუგო მ. კინტეროსს (არგენტინა). ტურნირში მონაწილეობენ, აგრეთვე, ე. ვასიუკოვი (სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია), ლ. პორტიში (უნგრეთი), ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ე. ტორე (ფილიპინები), ბ. ლარსენი (დანია), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ჰ. პფლეგერი (გფრ) და სხვები, სულ 15 მოჭადრაკე.

● მურმანსკი, 6 ოქტომბერი. ტრადიციული მარათონული გადარბენა, რომელიც ამჯერად იმიერპოლარეთში გერმანელ ფაშისტთა არმიების განადგურების 30-ე წლისთავს მიეძღვნა, მოიგო კანდალაკშელმა ვ. მოსტოვიკოვმა. მურმანსკის შემოგარენში 42 კმ და 195 მ მან 2 საათში, 29 წუთსა და 9 წამში დაფარა.

# მოგებული „სერია"

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. გუშინ და დღეს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში აურაცხელმა მაყურებელმა მოიყარა თავი: ყინულის სარბიელზე ერთმანეთს ხვდებოდნენ სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები და ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიული ლიგის მოთამაშეთაგან შემდგარი კოლექტივი „კანადა-74". ეს იყო ამ ორი ქვეყნის ჰოკეისტთა „სერიის" ბოლო ორი მატჩი.

გუშინ გამართული თამაში დამთავრდა ფრედ, მაგრამ, ფაქტიურად, ეს იყო გამარჯვება, ვინაიდან ბოლო მატჩის შედეგს უკვე აღარ შეეძლო „სერიის" ანგარიშში ცვლილების შეტანა.

გუშინდელი თამაშის ანგარიშია 4:4 (2:1, 2:2, 0:1). შაიბები გაიტანეს: მე-4 წუთზე — ანისინმა, მე-7 წუთზე — ტიურინმა, მე-18 წუთზე — უებსტერმა, 23-ე წუთზე — ბექსტრემმა, 27-ე წუთზე — მ. ჰოუმ, 28-ე წუთზე — გუსევმა და მიხაილოვმა, 47-ე წუთზე — ბექსტრემმა.

დღეს გამართული მატჩი სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო — 3:2 (0:1, 1:0, 2:1). ეს იყო ამ გუნდების ბოლო, მერვე შეხვედრა.

გამარჯვებულთაგან შაიბები გაიტანეს შალიმოვმა (41-ე და 47-ე წუთებზე) და იაკუშევმა (27-ე წუთზე), კანადელთაგან — ჰალმა (მე-14 წუთზე) და ბექსტრემმა (53-ე წუთზე).

ამრიგად, „კანადა-74"-თან გამართულ 8 მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა 4 მოიგო, 1 წააგო და 3 ფრედ დაამთავრა.

# სამბო ფეხს იკიდებს

## საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით

ამ დღეებში თელავში ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს სამბისტთა ზონალური შეჯიბრება რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 12 რაიონის ასამდე მოჭიდავემ.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა ტურნირის მასპინძლებს ხვდათ. II ადგილზე გავიდნენ კასპის რაიონის, III — საგარეჯოს სამბისტები.

ტურნირმა ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სამბო მტკიცედ იკიდებს ფეხს. საპრიზო ადგილებზე გასული კოლექტივების გარდა ქებას იმსახურებენ წითელი წყაროს, ყვარლის, ხაშურისა და დუშეთის რაიონები. ამ რაიონების გუნდებმა კარგი ახალგაზრდები გამოიყვანეს, რომლებსაც, მართალია, გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ამ ნაკლს მონდომებითა და ყურადღებით ანაზღაურებენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ს. როსტომაშვილი (დუშეთი), ვ. ვეფხიაშვილი, თ. მებაღიშვილი (ორივე — თელავი), მ. კენჭაძე (გურჯაანი), გ. თედიაშვილი (თელავი), ა. შეშაბერიძე (კასპი), მ. დიდმელაშვილი (საგარეჯო), თ. წითელაური (თელავი), ზ. ქინქლაძე (ახმეტა), ი. ელოშვილი (თელავი).

გამარჯვებული კოლექტივი და I ადგილზე გასული სამბისტები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სპარტაკიადის ფინალში.

ლ. ფცქიალაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

თელავი.

## სსრ კავშირის პირველობა

### რაგბი

# ერთი შესანიშნავი რეიდი

გუშინწინ თბილისში, ასკ-ს სტადიონზე, კაუნასელმა მსაჯმა ა. გრუმბინასმა თბილისის „ივერიისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრის დაწყების მაუწყებელი ნიშანი მისცა თუ არა, მინდორზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა.

საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტებს — მოსკოველ რკინიგზელებს მეორე წრეში მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდათ და კვირის მატჩში მორიგი წარმატების შემთხვევაში სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო იუმჯობესებდნენ. „ივერია" კი 4 ქულით ბოლო ადგილზე იყო და უმაღლესი ლიგის დატოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად რჩებოდა. შეხვედრის სიმწვავეც სწორედ ამან განაპირობა.

მალე ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ. „ივერიას" მონდომებულმა თამაშმა ხელი შეუწყო იმაში, რომ მეტოქეს გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოტანაშიც სჯობდა და შერკინებაშიც, რამაც მას მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა მოუპოვა. მაგრამ თბილისელებმა ეს უპირატესობა დიდხანს ვერ გამოიყენეს, ვინაიდან „ლოკომოტივის" დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ტაიმი ალბათ ანგარიშის გაუხსნელად დამთავრდებოდა, თავი რომ არ გამოეჩინა ეკალაძეს, რომელმაც 32-ე წუთზე თითქმის 45 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ბურთი მოსკოველთა ძელებს შორის გაატარა — 3:0.

ძნელი სათქმელია, პირველი წარმატების ან დაღლილობის ბრალია, თუ „ლოკომოტივის" გააქტიურებისა, მაგრამ „ივერიამ" თამაში ოდნავ მოადუნა, ინიციატივას მოსკოველები დაეუფლნენ და შესვენებამდე წუთით ადრე დაწინაურდნენ კიდეც — ცენტრში ნახევარდაცვის შეცდომით მოსკოველებმა კარგად ისარგებლეს და ბურთი „ივერიის" ჩათვლის მოედანზე დადეს, მერე კი რეალიზაციაც გამოიყენეს.

მეორე ტაიმი თბილისელებმა უარყოფითი ბალანსით დაიწყეს — 3:6. ეს ანგარიში მათს წინაშე ძნელ ამოცანას აყენებდა, მაგრამ მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ივერიამ" ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. შუა ტაიმში გუნდმა მარაო შესანიშნავად გაშალა, ოთხი თუ ხუთი გადაცემის მერე ბურთს ურუშაძე დაეუფლა, მეტოქის ჩათვლის მოედანზე შეიჭრა და გუნდს გამარჯვება მოუტანა — 7:6.

„ივერია" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: თუშიშვილი, ურუშაძე, ჯოხაძე (ი. ნაცვლიშვილი), რეხვიაშვილი, კთილაძე (დავითაია, გორგოძე), რამიშვილი, ა. ნაცვლიშვილი, სანებლიძე, კოჭლაშვილი (მენაბდე), კიზირია, ანდღულაძე, ნიჟარაძე, თოფურია, ბერეკაშვილი, ეკალაძე.

ო. ივდოშვილი.

თბილისის „ლოკომოტივმა", რომელიც მოსკოვში „ავტომობილისტს" ეთამაშებოდა, ვერ შეძლო პირველ წრეში წაგებისთვის რევანშის აღება — 15:22.

სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის „ფილიმ", რომელიც კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს მასპინძლობდა, მინდორი კვლავ დამარცხებულმა დატოვა — 0:18.

ლენინგრადში თამაშობდნენ ბრინჯაოს მედლის პრეტენდენტები — ადგილობრივი „ბურევესტნიკი" და ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი). გაიმარჯვეს გაგარინელებმა — 13:7.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხაიი (კიევი) | 13 | 9 | 0 | 4 | 202:127 | 18 |
| „ფილი" | 12 | 9 | 0 | 3 | 169:115 | 18 |
| სსა (მ. ო.) | 12 | 7 | 0 | 5 | 127:78 | 14 |
| „ბურევეს." | 13 | 7 | 0 | 6 | 115:127 | 14 |
| „ავტომ." (მ) | 12 | 6 | 1 | 5 | 105:95 | 13 |
| „ლოკ." (მ) | 12 | 5 | 1 | 6 | 118:124 | 11 |
| „ივერია" | 12 | 3 | 0 | 9 | 66:186 | 6 |
| „ლოკ." (თბ.) | 12 | 2 | 0 | 10 | 83:173 | 4 |

# კარგად მოემზადა

ახალ სასწავლო წელს ფიზკულტურის სწავლებისთვის კარგად მოემზადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს საშუალო სკოლა (დირექტორი შ. გუნცაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მახათაძე).

სოფლის საბჭოს (თავმჯდომარე ჭ. გაბრიჭიძე) და კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. წივწივაძე) დახმარებით სკოლამ ააგო მარტივი ტიპის სპორტული ბაზა, სადაც შეჯიბრებებთან ერთად გაკვეთილებიც ტარდება. ბაზას აქვს აუცილებელი სპორტული ინვენტარი.

სკოლაში იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახლა ნორჩი ფიზკულტურელები მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ემზადებიან.

ა. ბანუბრავა.
(ჩვენი კორ).

სოფ. ცხრაწყარო, ზესტაფონის რაიონი.

# რას ვერჩით ავთანდილაშვილს?

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რესპუბლიკის ბევრი რაიონი კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობას განიცდის. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. მართლაც, არსებობს ერთი კატეგორია სპეციალისტ-მწვრთნელებისა, რომლებსაც რაიონებში მუშაობის გაგონებაც არ სურთ. ისინი წლობით უსაქმოდ დადიან თბილისში, ეძებენ უმნიშვნელო ადგილებს და ყოველნაირად არიდებენ თავს ქალაქიდან გამგზავრებას. პირდაპირ სათცარია ამ ხალხის ლოგიკა: შეგეძლოს სახარგებლო საქმის გაკეთება, შეგეძლოს შენი ნიჭისა და უნარის გამოვლენა და გაექცე საქმეს მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისში უქმად ყოფნას ხარ მიჩვეული!

•

რაიონებში კი ათასობით ჯან-ღონით სავსე და სპორტს მოწყურებული ახალგაზრდა ამაოდ ელის კვალიფიციურ მწვრთნელებს, ელის და დროდადრო თავის გულისტკივილს გვიზიარებს.

ამას წინათ რედაქციამ წერილი მიიღო ქარელიდან. წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რაიონს არ ჰყავს კვალიფიციური მწვრთნელი ჭიდაობაში. მაგრამ წერილში სხვა ყურადსაღები ფაქტებიცაა მოყვანილი, ამიტომ გადავწყვიტეთ მასზე უფრო ვრცლად შეჩერება.

დავიწყოთ იმით, რომ ქარელის მოსწავლე ახალგაზრდობას უყვარს თავისუფალი ჭიდაობა, აქვს სისტემატური მეცადინეობის სურვილი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვაქვით, რაიონში არ არის არც ერთი კვალიფიციური მწვრთნელი.

სამაგიეროდ, გამოჩნდა ერთი ენთუზიასტი, რომელმაც ამ ნაკლის გამოსწორება ითავა. ეს ენთუზიასტი რ. ავთანდილაშვილია, მშენებელი ინჟინერი, სპორტის მოყვარული და ახალგაზრდების დიდი მეგობარი. ავთანდილაშვილი ერთ დროს ჭიდაობდა კიდეც ქ. ნინიაშვილის, ბ. მაზიაშვილისა და მ. თიკანაძის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის ჩემპიონატებშიც გამოდიოდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და ბოლოს თავი მიანება აქტიურ სპორტს.

ჭიდაობის სიყვარული კი მაინც გაჰყვა. და აი, ერთხელ, 1969 წელს, თავის ბინაში საჭიდაო დარბაზი მოაწყო. ბინაში გამართული სარბიელი, რა თქმა უნდა, პრიმიტიული იყო, მაგრამ ბავშვები ხალისით დადიოდნენ თავიანთს მასწავლთან და ისიც არ იშურებდა დროს, ენერგიას, ცოდნას. ასე წვალებაში გავიდა ოთხი წელი, წვალებაში, ხვეწნაში და მუდარაში. ბოლოს, როგორც იქნა, ქარელში შეიტანეს ნამდვილი საჭიდაო ლეიბები და დააწყვეს 1-ლი საშუალო სკოლის დარბაზში.

ავთანდილაშვილი თავისი „რაზმით" ახალ ბინაში გადაბარგდა და შეუდგა უფრო გეგმიურ, სისტემატურ მუშაობას. მერე კი, როცა მოახლოვდა მოსწავლეთა სპარტაკიადა, ენთუზიასტმა მწვრთნელმა გადაწყვიტა პრაქტიკულად შეემოწმებინა თავისი ნამოღვაწარი.

აი, სწორედ მაშინ გამოამჟღავნა ადგილობრივი სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ თავისი უცნაური, ყოვლად გაუგებარი პოზიცია. ავთანდილაშვილის აღსაზრდელებს არ მისცეს სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება. მიზეზად ჯერ განაცხადის დაგვიანება მოიტანეს, მერე კი პირდაპირ თქვეს: ავთანდილაშვილი კვალიფიციური მწვრთნელი არ არისო.

დავუშვათ, რომ ამ ენთუზიასტს მართლაც არა აქვს სპეციალური განათლება, მაგრამ ხომ შეძლო გაეღვივებინა ბავშვებში ჭიდაობისადმი ინტერესი? იგი თავს არ ზოგავს, გატაცებით მუშაობს და ახალგაზრდებიც გულისყურით უსმენენ, ოსტატობას ეუფლებიან. საინტერესოა, რა უფრო ხელსაყრელია სპორტსკოლის ხელმძღვანელობისთვის: უქმად იყვნენ ბავშვები, თუ დაეუფლონ ჭიდაობის ანბანს, თუნდაც ამ იმპროვიზებულ სექციაში?

ამბობენ, არაკვალიფიციური მწვრთნელის მიზეზით მოვარჯიშენი შეიძლება დაშავდნენო. თუ ასეა, რატომ მაინცდამაინც მაშინ ახსენდებათ მწვრთნელის დაბალი კვალიფიკაცია, როცა რომელიმე შეჯიბრებაში მონაწილეობის საკითხი დგება? რატომ მანამდე არ აგონდებათ გამოცდილი მწვრთნელის მოძებნა? უცნაურია, მწვრთნელს კვალიფიკაცია დაუწუნო, ჩამოაშორო იგი საქმეს და ამავე დროს თითი თითზე არ დააკარო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

არსებობს ორი გამოსავალი: ან სასწრაფოდ მივიღოთ ზომები კვალიფიციური მწვრთნელის ქარელში ჩასაყვანად, ანდა შესაბამისი შემოწმების შემდეგ მივცეთ ავთანდილაშვილს მუშაობის საშუალება. ასეთი ენთუზიასტები კი არ უნდა დავაფრთხოთ, პირიქით, უნდა მოვიზიდოთ, ჩავაბათ მუშაობაში.

აი, რას გვწერს ამის თაობაზე თვით განაწყენებული მწვრთნელი: „...მაშ რა ქნან ახალგაზრდებმა? მათ ხომ ვარჯიში სწყურიათ! სამწუხაროდ, კვალიფიციური მწვრთნელის მოწვევისთვის არავინ ზრუნავს და არც მე მაძლევენ ბავშვებთან მუშაობის საშუალებას. ჩემს მუშაობაზე მსჯელობა შეიძლება ჩემივე აღსაზრდელების მომზადების დონის მიხედვით, ეს კი შეჯიბრებებმა უნდა გამოავლინოს... ჩემი თხოვნაა ან მოიწვიონ კვალიფიციური მწვრთნელი, ან მე მომცენ საშუალება ბოლომდე მივიყვანო საქმე".

ძნელია არ დაეთანხმო ამ სამართლიან მოთხოვნას. საქართველოში ბევრია გამოცდილი მწვრთნელი. იქნებ რომელიმემ ითავოს ეს კეთილშობილური საქმე. თუ არა და... რაღას ვერჩით აქა-იქ შემორჩენილ ენთუზიასტებს, სპორტის ჭეშმარიტ პატრიოტებს?

ნ. გუგუშვილი.

# 42-ე ჩემპიონატის სტარტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 ოქტომბერს მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისსა და ვილნიუსში სტარტს აიღებს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების 42-ე საკავშირო ჩემპიონატი. ტურნირი, რომელიც გაისად 1 აპრილს დამთავრდება, მონრეალის ოლიმპიური თამაშების გენერალური რეპეტიცია იქნება და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სსრ კავშირის ნაკრების მომავალ შემადგენლობას. ცხადია, საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე ყველა კოლექტივი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საბჭოთა კალათბურთის მომავლის ჩამოყალიბებაში და ამიტომაც მთელის გულისყურით, ძალღონის დაუზოგავად ემზადება ახალი სტარტებისთვის.

ამ სამზადისის სტრუქტურა მრავალფეროვანია და რამდენიმე რთული საფეხურისგან შედგება. იგი, ამავე დროს, გულისხმობს სხვადასხვა დონისა და რანგის საკონტროლო შეხვედრებს, ამხანაგურ მატჩებს და, ასე გასინჯეთ, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობასაც.

თბილისის დინამოელები ახალი სეზონისთვის ენერგიულად შეუდგნენ მზადებას, ამ ცოტა ხნის წინათ კი მათ საშუალება მიეცათ პრაქტიკულად შეემოწმებინათ პასუხსაგები სტარტებისთვის მზადყოფნის ხარისხი. ამ მიზნით დინამოელებმა მონაწილეობა მიიღეს კრაკოვის საერთაშორისო ტურნირში, სადაც, მათს გარდა, მიწვეული იყვნენ კიევის „სტროიტელი" და იუგოსლავიის „ბორაცი". შეჯიბრება, რომელშიც მასპინძლების 3 გუნდიც ასპარეზობდა (პოლონეთის ჩემპიონი — კრაკოვის „ვისლა", ეროვნული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი — რჟესოვის „რესოვია" და გდანსკის „ვიბჟეჟე"), მეტად საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა. „დინამომ" მოიგო 4 შეხვედრა: „ბორაცთან" — 89:80, „რესოვიასთან" — 68:66, „ვისლასთან" — 84:67, „ვიბჟეჟესთან" — 82:74 და დამარცხდა მხოლოდ კიევის „სტროიტელთან" — 86:96. ოთხ-ოთხი მოგება და თითო წაგება ჰქონდათ „სტროიტელსაც" და „ვიბჟეჟესაც". გამარჯვებული გამოვლინდა ქულების უკეთესი ბალანსით: „სტროიტელს" I ადგილი ერგო, „დინამოს" — II, „ვიბჟეჟეს" — III.

კრაკოვის საერთაშორისო ტურნირმა ცხადყო, რომ თბილისელი კალათბურთელები სეზონის სტარტზე ურიგო ფორმაში არ არიან. როგორც ყოველთვის, მაქსიმალური დატვირთვით და მონდომებით ითამაშა ი. ჟულავსკიმ. გუნდის სული და გული ამჯერადაც ვეტერანი ზ. საკანდელიძე იყო. მისი მაღალი ოსტატობა და ორგანიზატორული ნიჭი განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა „ვიბჟეჟესთან" გადამწყვეტ შეხვედრაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თ. ჩიხლაძემაც. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო იყო ახალგაზრდა დ. მაღალთაძის თამაში. მან წარმატებით გაართვა თავი მწვრთნელის ყველა დავალებას. განსაკუთრებით მოსაწონი იყო მაღალთაძის თამაში დაცვაში პოპულარული პოლონელი სნაიპერის იურკევიჩის წინააღმდეგ. ამ შესანიშნავი კალათბურთელის სნაიპერული ოსტატობა საქვეყნოდაა ცნობილი. იგი ყოველ მატჩში საშუალოდ 45 ქულას აძლევს თავის კოლექტივს და მუდამ მეტოქის გაძლიერებული ყურადღების საგანია. აი, ასეთი „უხერხული პარტნიორი" ჰყავდა ახალგაზრდა დინამოელს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან წარმატებით გაართვა თავი ამოცანას. უფრო მეტიც, მაღალთაძემ თვითონ აქტიურად ითამაშა თავდასხმაში და გუნდს 26 ქულა შესძინა.

საერთოდ კი უნდა ვთქვათ, რომ კრაკოვის ტურნირმა დინამოელთა თამაშში ერთი თვისობრივი ცვლილება გვიჩვენა. თბილისელთა „აქილევსის ქუსლი" მუდამ დაცვა იყო, სუსტი, უყურადღებო, ხშირად ქაოსური და უსისტემო. ამჯერად დინამოელებმა სწორედ დაცვაში გამოამჟღავნეს მაღალი ოსტატობა, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია პოლონეთის პრესას.

საკავშირო ჩემპიონატისთვის სამზადისი გრძელდება. თბილისის „დინამო" იუგოსლავიაში გაემგზავრა ძმადნაფიც ქალაქ ლიუბლიანის სპორტული ორგანიზაციების მიწვევით. ჩვენი კალათბურთელები რამდენიმე მატჩს გამართავენ ლიუბლიანაში, ბელგრადში, იუგოსლავიის სხვა ქალაქებში. ეს იქნება პირველობისთვის სამზადისის ბოლო ციკლი, მერე კი...

42-ე საკავშირო ჩემპიონატი წლეულს ახლებურად ტარდება. რაში მდგომარეობს ეს სიახლე? ყოველი გუნდი თავის მეტოქეებთან ჩაატარებს არა 3-3 თამაშს, როგორც ეს შარშან და შარშანწინ იყო, არამედ 4-4 შეხვედრას — ორ მატჩს შინ და ამდენსავე — სტუმრად. 36 კალენდარული შეხვედრა 5 თვის მანძილზე, დაგვეთანხმეთ, საკმაოდ მომქანცველი გრაფიკია, რომელიც სპორტსმენებისგან მოითხოვს არა მარტო ფიზიკური ენერგიის მარაგს, არამედ ფსიქოლოგიურ მზადყოფნასაც...

ნ. ახვლედიანი.

* * *

გთავაზობთ ოქტომბერ-ნოემბრის კალენდარს:

29-30 ოქტომბერი. „დინამო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი), „დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი), „სტატიბა" (ვილნიუსი) — ცსკა.

1-2 ნოემბერი. „ჟალგირისი" (კაუნასი) — ცსკა, „სპარტაკი" — „ურალმაში".

6-7. „კალევი" (ტარტუ) — „ურალმაში".

8-9. „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი".

16-17. „სპარტაკი" — „კალევი", „დინამო" (მოსკოვი) — რტი.

18-19. „დინამო" (თბილისი) — ცსკა.

19-20. „ურალმაში" — „სტროიტელი", „სტატიბა" — რტი, „სპარტაკი" — „დინამო" (მოსკოვი).

22-23. „ურალმაში" — ცსკა.

23-24. „სტატიბა" — „კალევი", „ჟალგირისი" — რტი.

26-27. „ჟალგირისი" — „კალევი".

28-29. „დინამო" (მოსკოვი) — „სტატიბა", „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი".

როგორც ხედავთ, ნოემბრის კალენდარში ბევრი ფანჯარაა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთ გუნდს ევროპის ტურნირებში მოუწევს თამაში. სულ სამი ასეთი ტურნირია: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი და ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელის რ. კორაჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება, რომელიც რამდენიმე წელია, რაც ევროპის ტურნირის რანგამდეა აყვანილი.

**კალათბურთი**

## სოხუმი

აქ მიმდინარეობს „კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს II თამაშები, რომლის პროგრამაში 12 სახეობა შედის. უკვე დამთავრდა შეჯიბრებები ფრენბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში. ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა ასპარეზობაში ყველას გულრიფშის რაიონის გუნდებმა აჯობეს. მოჭიდავეთა შორის ჩემპიონები გახდნენ: ტ. აბრავა (გულრიფში), ი. ჩოჩია (გაგრა), ა. ბარციკიანი (ოჩამჩირე), ნ. ღვინჯილია (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), გ. ხარებავა (ორივე — გულრიფში), ი. ბაბუაშვილი, თ. გაბუნია, ა. მაისურაძე (ყველა — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), რ. გელენიძე (გუდაუთა).

შ. ჯალალონია.

# მთავარი თემა — სპორტი

სპორტული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი ა. ციბაძის სახელი. ბევრი აქტუალური წერილის, ნარკვევის, ბროშურისა და წიგნის ავტორმა ახლახან კიდევ ორი ახალი ნაშრომი გამოსცა. ერთ-ერთი მათგანია წიგნი „ეპიზოდები სპორტული ცხოვრებიდან", რომელიც „ლელოს" ბიბლიოთეკის სერიაში დაბეჭდა „საბჭოთა საქართველომ" (რედაქტორი ი. არაბული).

წიგნში შესული მოთხრობების მთავარი თემაა სპორტი როგორც სიკეთის, კეთილშობილების, პატრიოტიზმის, ზნეობრივი სიწმინდისა და, საერთოდ, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებათა გამოვლენის საუკეთესო საშუალება. ავტორი ჩვეული სითბოთი და სიყვარულით გვაცნობს გ. ეგნატაშვილის, გ. ჩიკვაიძის, ა. მეკოკიშვილის, თ. აბუაშვილისა და მ. ხერგიანის სპორტული ბიოგრაფიების ამაღელვებელ ეპიზოდებს.

„სპორტი და ხალხთა მეგობრობა" — ესაა ა. ციბაძის კიდევ ერთი ახალი ბროშურა, რომელიც საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" გამოსცა მასობრივი ტირაჟით (რედაქტორი თ. გიორგაძე). ბროშურაში ვრცლადაა განხილული სპორტის ისტორიული როლი საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში.

ბროშურაში ბევრი მკაფიო მაგალითითაა დადასტურებული, რომ სპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის დაახლოებისა და მეგობრული თანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

თ. გაჩეჩილაძე.







მანილა. 21-29 სექტემბერი. ძალოსანთა მსოფლიო პირველობა. მონაწილეობდა 41 ქვეყნის 182 ათლეტი.

უმსუბუქესი წონა: ორჭიდი. 1. მ. ნასირი (ირანი) — 232,5 კგ (100+132,5), 2. ქ. კიოსეგი (უნგრეთი) — 230 (105+125), 3. ტ. ხორიკოსი (იაპონია) — 227,5 (105+122,5). ატაცი: კიოსეგი — 105. აკვრა: ნასირი — 132,5. მსოფლიო რეკორდი: ატაცი — 106,5 — ხორიკოსი.

მჩატე: ორჭიდი. 1. ა. კიროვი (ბულგარეთი) — 255 (110+145), 2. ლ. სკორუპა (პოლონეთი) — 250 (112,5+137,5), 3. ი. ხოსოტანი (იაპონია) — 245 (97,5+147,5). ატაცი: სკორუპა — 112,5. აკვრა: ხოსოტანი — 147,5.

ქვემსუბუქი: ორჭიდი. 1. გ. ტოდოროვი (ბულგარეთი) — 280 (125+155), 2. ნ. კოლესნიკოვი (სსრ კავშირი) — 277,5 (120+157,5), 3. ნ. ნურიკიანი (ბულგარეთი) — 277,5 (122,5+155). ატაცი: ტოდოროვი — 125. აკვრა: კოლესნიკოვი — 157,5. რეკორდები ორჭიდში: მსოფლიო — 280 — ტოდოროვი, საკავშირო — 277,5 — კოლესნიკოვი.

მსუბუქი: ორჭიდი. 1. ბ. კიროლი (სსრ კავშირი) — 305 (130+175), 2. ზ. კაჩმარეკი (პოლონეთი) — 302,5 (130+172,5), 3. ნ. დეჰნავი (ირანი) — 295 (130+165). ატაცი: კიროლი — 130. აკვრა: კიროლი — 175.

ქვესაშუალო: ორჭიდი. 1. ნ. კოლევი — 335 (150+185), 2. რ. რუსევი (ორივე — ბულგარეთი) — 332,5 (152,5+180), 3. პ. ვენცელი (გდრ) — 322,5 (142,5+180). ატაცი: რუსევი — 152,5, აკვრა: კოლევი — 185.

საშუალო: ორჭიდი. 1. ტ. სტოიჩევი (ბულგარეთი) — 350 (155+195), 2. ლ. იენსენი (ნორვეგია) — 350 (155+195), 3. რ. მილზერი (გფრ) — 347,5 (152,5+195). ატაცი: ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) — 160. აკვრა: სტოიჩევი — 195.

ქვემძიმე: ორჭიდი. 1. დ. რიგერტი — 387,5 (172,5+215), 2. ს. პოლტორაცკი (ორივე — სსრ კავშირი) — 367,5 (162,5+205), 3. პ. მეცოლდი (გდრ) — 355 (155+200). ატაცი: რიგერტი — 172,5. აკვრა: რიგერტი — 215. მსოფლიო რეკორდები: ორჭიდი — 387,5 — რიგერტი, აკვრა — 215 — რიგერტი.

მძიმე: ორჭიდი. 1. ვ. უსტიუჟინი (სსრ კავშირი) — 380 (167,5+212,5), 2. ი. ციცკე (გდრ) — 377,5 (165+212,5), 3. ი. ზაიცევი (სსრ კავშირი) — 367,5 (160+207,5). ატაცი: უსტიუჟინი — 167,5. აკვრა: ციცკე — 212,5.

ზემძიმე: ორჭიდი. 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — 425 (185+240), 2. ს. რედინგი (ბელგია) — 390 (170+220), 3. ჟ. ჰაიზერი (გდრ) — 382,5 (165+217,5). ატაცი: ალექსეევი — 185. აკვრა: ალექსეევი — 240. მსოფლიო რეკორდები: ორჭიდი — 425 — ალექსეევი, აკვრა — 241,5 — ალექსეევი.

გუნდური: 1. ბულგარეთი — 78 ქულა, 2. სსრ კავშირი — 74, 3. პოლონეთი — 50, 4. იაპონია — 42, 5. გდრ — 39, 6. უნგრეთი — 35.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**ტაბლოსთან ჩანაწერი**

6 ოქტომბერს შედგა მორიგი შეხვედრები.

„ტორპედო“ — „დინამო“ (კიევი) 1:1. ტორპედოელები ლიდერობდნენ იურინის მიერ გატანილი გოლით, მაგრამ ლიდერმა თავი დააღწია დამარცხებას — საპასუხო ბურთი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბლოხინმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა სნაიპერთა სიას — 15 გოლი.

„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ 1:0. ოდესელებს გამარჯვება მოუტანა მაკაროვის მიერ 84-ე წუთზე გატანილმა გოლმა. ეს მაკაროვის მე-18 ბურთია ჩემპიონატში.

„არარატი“—„ზენიტი“ 4:0. ორ-ორი ბურთი გაიტანეს ზანაზანიანმა და ლაზარიანმა.

„კარპატი“— „დნეპრი“ 4:3.

„ნისტრუ“ — „ზარია“ 0:0.

**სტატისტიკის ცხრილი**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 24 | 11 | 11 | 2 | 36—14 | 33 |
| „ჩერნომ.“ | 24 | 10 | 9 | 5 | 32—25 | 29 |
| „ტორპედო“ | 24 | 10 | 7 | 7 | 29—22 | 27 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 8 | 10 | 6 | 34—24 | 26 |
| „შახტიორი“ | 24 | 8 | 10 | 6 | 30—25 | 26 |
| „სპარტაკი“ | 23 | 9 | 8 | 6 | 22—19 | 26 |
| „არარატი“ | 23 | 9 | 7 | 7 | 28—20 | 25 |
| „ზენიტი“ | 24 | 6 | 13 | 5 | 27—33 | 25 |
| „დნეპრი“ | 24 | 7 | 9 | 8 | 22—28 | 23 |
| „ფახთაქორი“ | 23 | 7 | 8 | 8 | 33—35 | 22 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 5 | 11 | 8 | 18—28 | 21 |
| „კარპატი“ | 23 | 5 | 10 | 8 | 23—25 | 20 |
| „ქაირათი“ | 23 | 6 | 8 | 9 | 31—35 | 20 |
| ცსკა | 23 | 6 | 8 | 9 | 24—28 | 20 |
| „ზარია“ | 24 | 5 | 9 | 10 | 24—36 | 19 |
| „ნისტრუ“ | 24 | 4 | 8 | 12 | 27—43 | 16 |

# განბილებულნი დავრჩით

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 6 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

თბილისი: გაგოშიძე, მჭედლიშვილი (წერეთელი), შელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე, ესებუა.

მოსკოვი: პილგუი (გონტარი), მახალაევი, ნიკულინი, ზიკოვი, დოლბონოსოვი, პეტრუშინი, პუდიშევი, კოზლოვი, პავლენკო, მახოვიკოვი, კოჟემიაკინი (იაკუბიკი).

მსაჯი მ. მკრტჩიანი (ერევანი).

ტაიმებს შორის შესვენებისას სამსაჯო ოთახთან შევხვდით თბილისის „დინამოს“ ყოფილ ცენტრალურ თავდამსხმელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ზ. კალოევს, რომელიც დაუფარავი აღშფოთებით, გულისტკივილით ამბობდა:

— როგორ თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები, რამდენ დროს კარგავენ ბურთის ტარებით შუა მინდორზე! არ არის ტემპი, სისწრაფე, მოძრაობა, მანევრი. შეტევაში ძალიან მცირე ძალები მონაწილეობენ. როცა ბურთი ერთ მოთამაშეს აქვს, სხვები არ იხსნებიან, არ ეძებენ გზებს კარის ასაღებად, აუარებელ გადაცემას კარგავენ, სახიფათო მომენტებს არ ქმნიან...

ვეტერანის სიტყვები სრულ სიმართლეს შეიცავდა. ისეთ მატჩებს, როგორიცაა საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის, ფეხბურთის მოყვარულნი მოუთმენლად მოელიან, განსაკუთრებით აქვთ გამორჩეული, და საწყენია, ძალიან საწყენია, როცა დიდი, საინტერესო ბრძოლის ნაცვლად მინდორზე ნახავ უფერულ, ულიმღამო ფუსფუსს, უაზრო გადაცემებს, ტექნიკური თუ ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს. საყვედური ეთქმით არა მარტო თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებსაც წლეულს არაფრით გაუხარებიათ თავიანთი გულშემატკივრები, არამედ მოსკოვის „დინამოსაც“, სსრ კავშირის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, ძლიერ გუნდს, თბილისელთა ძველისძველ, ტრადიციულ მეტოქეს, ვისი თამაშითაც არაერთხელ მოეხიბლულვართ უწინ. 90 წუთმა ისე განვლო, დასამახსოვრებელი, საინტერესო მომენტები თითქმის არც ყოფილა. აქა-იქ, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაიელვებდა რაიმე ეპიზოდი, დანარჩენ დროს კი თამაში მიმდინარეობდა მონოტონურად, აუჩქარებლად, ნელი ტემპით, გაურთულებლად, ერთობ მდარე სპორტულ დონეზე.

ვთქვათ, ორივე გუნდს ხელს აძლევდა ფრე და მისგან გამომდინარე თითო ქულა, მაგრამ ყოველგვარი მიზნის მისაღწევად ხომ არსებობს ისეთი საბრძოლო საშუალებანი, რომელთა გამოყენება საჭიროა ოსტატურად, გეგმიანად, სრული მონდომებით და ენერგიულად. ორივე გუნდის ფეხბურთელები კი ამას არ ავლენდნენ და ამიტომ მატჩი დაემსგავსა ჭადრაკში გადადებული პარტიის დამთავრებას, სადაც ფრე გარდუვალია და მოწინააღმდეგეები ვალის მოსახდელად, „ზრდილობისთვის“ აკეთებენ სვლებს.

განსაკუთრებით მოსაწყენი იყო პირველი ტაიმი. მასპინძლებს შეტევის ცენტრში ჰყავდათ მ. მაჩაიძე, რომელსაც არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდა ფლანგებიდან, ვინაიდან გუცაევს არც ერთი გარღვევა არ შეუსრულებია, ესებუა კი მინდვრის შუაგულში იყო დაწეული და სისტემატურად კარგავდა გადაცემებს.

შედარებით უკეთ ითამაშა გუნდმა მეორე ტაიმის დასაწყისში. თამაში თითქოს გამოცოცხლდა, კარგი რეიდები შეასრულეს მჭედლიშვილმა, გავაშელმა, ებრალიძემ, მაგრამ 15-20 წუთის შემდეგ ტემპი ისევ დაეცა და ორივე მხარემ ამჯობინა ებრძოლა იმ ანგარიშის შესანარჩუნებლად, რომელიც მატჩის დაწყების წინ იყო აღნიშნული ელექტროტაბლოზე.

საბოლოოდ მეტოქე მხარეები თითო ქულით კმაყოფილნი გაზავდნენ, ჩვენ კი გაწბილებული წამოვედით სტადიონიდან.

**რ. ქორიძე.**

• • •



სურათზე: მატჩის მომენტი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

# რუსთაველ ფეხბურთელთა დიდი წარმატება

## „მეტალურგი“ — საკავშირო თასის მფლობელი

**სასიხარულო ცნობა მოვიდა მინერალური წყლებიდან, სადაც გასულ შაბათს შედგა ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის ფინალური მატჩი რუსთავის „მეტალურგსა“ და კალუგის „ზარიას“ შორის.**

**რუსთაველებმა დიდი მონდომებით, აღმაფლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა, დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 2:0 და მოიპოვეს საპატიო პრიზი, რომელსაც „მილიონთა თასი“ ეწოდება.**

**ფინალურ მატჩს ესწრებოდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, რომელსაც ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველთათვის მოეთხრო თამაშის მსვლელობა.**

— მინერალური წყლების „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სადაც შედგა მატჩი, — თქვა ნ. ჩხატარაშვილმა, — საკმაო რაოდენობით მოვიდა მაყურებელი გადამწყვეტი შეხვედრის სანახავად. წყნარი, მზიანი ამინდი ხელს უწყობდა თამაშის მაღალ დონეზე ჩატარებას. მსაჯობდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მოსკოველი ვალენტინ ლიპატოვი.

მატჩი დაიწყო „ზარიას“ სწრაფი იერიშით და „მეტალურგის“ დაცვასა და მეკარე მელაძეს მძიმე დატვირთვა დააწვათ, მაგრამ უკვე მე-4 წუთზე კონტრიერიშისას გოგუაძემ ძელს მოახვედრა ბურთი, მერე კი მიქაშავიძის დარტყმები კიდევ ზედიზედ ორჯერ მოხვდა ძელს.

ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა სახიფათო მომენტების ნაკლებობა არც ერთ კართან არ იყო. შესვენების შემდეგ ინიციატივა „მეტალურგმა“ აიღო ხელთ, რომლის მოთამაშეთა ტექნიკური უპირატესობა თანდათან უფრო იჩენდა თავს. მაგრამ არც კალუგელები აკლებდნენ ცდას მიეღწიათ წარმატებისთვის. კერძოდ, ერთ-ერთ მომენტში „მეტალურგის“ დაცვამ შეცდომა დაუშვა და მელაძეს, რომელმაც საუკეთესოდ ითამაშა, ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

რუსთაველთა მწვრთნელმა ფარჯიშველიძემ ორი შეცვლა მოახდინა გუნდის შემადგენლობაში და ერთმა ფეხბურთელმაც და მეორემაც გოლი გაიტანა. 78-ე წუთზე მიქაშავიძისგან მიღებული ბურთით კონიაშვილი პირისპირ გავიდა „ზარიას“ მეკარესთან და ანგარიში გახსნა, 10 წუთის შემდეგ კი გოგუაძის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია კალუგელთა მეკარემ, მას ყველაზე ადრე მიუსწრო ჭაგუამ და ზუსტი დარტყმით განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება — 2:0.

მატჩი მოვიგეთ. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მასობრივი განყოფილების უფროსმა ზაბელინმა რუსთაველთა კაპიტანს იასონ ალადაშვილს საზეიმოდ გადასცა თასი. მწვრთნელი და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, გუნდმა საპატიო წრე შემოიარა ტრიბუნების წინ. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ მეტალურგების დამსახურებულ გამარჯვებას.

რუსთავის „მეტალურგმა“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა ფინალური მატჩი: მელაძე, ავერინი, პავლოვი, კირვალიძე, ჯიქია, გოგუაძე, მაისურაძე (კონიაშვილი), ჯაფარიძე, ალადაშვილი (ჭაგუა), სიმონიშვილი, მიქაშავიძე.

**გუშინ რედაქციაში მოვიწვიეთ რუსთავის „მეტალურგის“ მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ზ. ფელიძე, ვთხოვეთ მას რამდენიმე სიტყვა ეთქვა თავის გუნდზე, მის პერსპექტივებზე.**

— „მეტალურგში“ მუშაობას შევუდექი შარშან აპრილში, — განაცხადა მწვრთნელმა, — როცა მან ის-ის იყო დატოვა „ა“ კლასის მეორე ლიგა და საქართველოს პირველობაში IX ადგილზე იყო. საჭირო შეიქნა მნიშვნელოვან ცვლილებათა მოხდენა შემადგენლობაში, მოვიწვიეთ რამდენიმე ახალი მოთამაშე, გადავახალისეთ საწვრთნელი პროგრამა, ვარჯიშს მივეცით სისტემატური ხასიათი, განვამტკიცეთ დისციპლინა. ყოველივე ამან სასურველი შედეგი გამოიღო: მოვიპოვეთ საქართველოს თასი, გავამართლეთ გულშემატკივართა იმედები მილიონთა თასის საკავშირო გათამაშებაში და წინ ჩამოვიტანეთ პრიზი.

ახლა კარგი პერსპექტივები გვაქვს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. იმედია I ადგილს დავიკავებთ და მივიღებთ უფლებას კვლავ დავიბრუნოთ ადგილი საკავშირო ლიგაში, სადაც განახლებული ძალებით, მაქსიმალური ენერგიით ვიბრძოლებთ მაღალი შედეგებისთვის. ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია (საშუალო ასაკი — 22 წელი) და შესწევს ძალა თავი გაართვას ახალ ამოცანებს, წლევანდელი წარმატებები, იმედია, გამოაცოცხლებს საფეხბურთო ცხოვრებას რუსთავში, დააინტერესებს ნორჩ ფეხბურთელებს, რომელთა რიგებიდან შეიძლება კარგი ცვლის მიღება.

საკავშირო თასის გათამაშებაში წლეულს 60 ათასი გუნდი გამოდიოდა, რომელთა შორის იყო ძლიერი კოლექტივებიც. პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ ალმა-ათის სახლსაშენი კომბინატის გუნდთან — 2:1, შემდეგ დავამარცხეთ ამ პრიზის სამგზის მფლობელი — მოსკოვის „ალმასი“ — 2:0 (ეს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ გუნდია), მოგება ჩავუთვალეს მინერალური წყლების „ლოკომოტივთან“, ნახევარფინალში მოვუგეთ ფრუნზეს „ინსტრუმენტალშჩიკს“ — 4:0 და, ბოლოს, ფინალში დავამარცხეთ კალუგის „ზარია“ — 2:0.

ჩვენი კოლექტივის თითოეული წევრი მონდომებულია, რომ შემდგომშიც თავდაუზოგავად იმუშაოს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.



# გამოცდა ჩემპიონებისთვის

ლენინგრადი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). 20 წლის ტოლიატელ აკრობატს ნ. მასლობოიშჩიკოვას საკავშირო პირველობაში ოქროს მედალი მოუტანა თავბრუდამხვევმა ნახტომებმა და უაღრესად გაბედულმა მალაყებმა, რომელთა შესრულებას ბევრჯერ ვაჟებიც ვერ ბედავენ. მსოფლიო ჩემპიონი ჭეშმარიტად ჩემპიონურად გამოვიდა და 67,1 ქულა დააგროვა. ვარჯიშის ამ სახეობაში პრიზიორები გახდნენ სტავროპოლელი ვ. ჩუხარევა (66,6 ქულა) და ვორონეჟელი გ. ანოხინა — 63,9.

ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში უაღრესად მწვავე კონკურენციას ფვით სახელგანთქმულმა ვ. ნაზაროვმა და ვ. ალიმანოვმაც კი ვერ გაუძლეს. მსოფლიო ჩემპიონები IV ადგილზე აღმოჩნდნენ, ხოლო I ადგილი დაიკავეს იმავე ტოლიატის წარმომადგენლებმა ვ. სკოვოროდკინმა და მ. სმირნოვმა — 65,7 ქულა. მათმა თანაქალაქელებმა — მსოფლიო ჩემპიონებმა თ. დუბროვინამ, ლ. გულიაევამ და ტ. საბლინამ მოიგეს ქალთა „სამეულების“ შეჯიბრება, რაც პირველად იყო შეტანილი საკავშირო პირველობის პროგრამაში — 37,9 ქულა.

მინსკელი 16 წლის მოსწავლე ვ. ბინდლერი უნიკალური სამმაგი მალაყის ერთადერთი შემსრულებელია მსოფლიოში, მაგრამ ამ ილეთმაც კი ვერ მოახვედრა იგი პრიზიორთა რიცხვში. ხტომაში ვაჟთა შორის პირველი იყო მინსკელი ა. ბაზილევი. ქალთა წყვილების შეჯიბრება, რომელიც პირველად შეიტანეს საკავშირო პირველობის პროგრამაში, მოიგეს ვორონეჟელებმა ვ. ზელეპუკინამ და ტ. პურლაკოვამ.

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში პირველობდნენ სვერდლოვსკელი მსოფლიო ჩემპიონები გ. და ი. საველიევები, ხოლო ოთხეულებს შორის გაიმარჯვეს კრასნოდარელებმა ლ. შესტაკოვმა, ვ. და ი. მოტრენკოებმა და ა. ჩიჯავაძემ.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „სფსრ-ს წარმომადგენლებმა.

# და კვლავ წილისყრა!

4 ოქტომბერს ციურიხში შედგა ევროპის ტურნირების წილისყრა.
აი, წილისყრის შედეგები:

### ჩემპიონთა თასი

„ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი)
„რუხი“ (ხოჟუვი, პოლონეთი) — „ფენერბახჩე“ (სტამბული, თურქეთი)
„ბაიერნი“ (მიუნხენი, გფრ) — „მაგდებურგი“ (გდრ)
„დოჟა უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი)
ჰიკ-ი (ჰელსინკი, ფინეთი) — „ატვიდაბერგი“ (შვეცია)
„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)
„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)
„არარატი“ (ერევანი, სსრ კავშირი) — „კორკი“ (ირლანდია).

### თასების მფლობელთა თასი

„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია)
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია)
„აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი)
„ლივერპული“ (ინგლისი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
„გვარდია“ (ვარშავა, პოლონეთი) — „ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)
„კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია)
„მალმიო“ (შვეცია) — „რეიპასი“ (ფინეთი).

### უეფა-ს თასი

„ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „ფკ ამსტერდამი“ (ჰოლანდია)
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კიოლნი“ (გფრ)
„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია)
„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „დინამო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი)
„ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ)
„იურგორდენი“ (შვეცია) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია)
„პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „პორტდაუნი“ (ჩრდილოეთ ირლანდია)
„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „რასინგ-ვიტი“ (მოლენბეკი, ბელგია)
„ველეჟი“ (იუგოსლავია) — „რაპიდი“ (ავსტრია)
„დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)
„ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ) — „სტიაგულ როშუ“ (რუმინეთი)
„ჰიბერნიანი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია)
„ნაპოლი“ (იტალია) — „პორტუ“ (პორტუგალია)
„ბორუსია“ (მენხენგლადბახი, გფრ) — „ლიონი“ (საფრანგეთი)
„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი)
„აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „ანტვერპენი“ (ბელგია).

**შენიშვნა: ევროპის ტურნირების მეორე წრის მატჩები გაიმართება 23 ოქტომბერსა და 6 ნოემბერს (პირველი მატჩი პირველად დასახელებული მეტოქის მინდორზე ჩატარდება).**




## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## კარპოვი — კორჩნოი 2:0 (7 ყაიმი)

მოსკოვი, 6 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ, მატჩის IX პარტიაში, რომელიც წინდღით თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო, კარპოვმა და კორჩნოიმ ბრძოლის განახლებისას მხოლოდ თითო სვლა გააკეთეს და დაზავდნენ.

გთავაზობთ IX პარტიას:

**კორჩნოი — კარპოვი**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 e5 3. მf3 მc6 4. g3 კb4 5. კg2 0—0 6. 0—0 e4 7. მe1 კ:c3 8. dc h6 9. მc2 b6 10. მe3 კb7 11. მd5 მe5 12. b3 ეe8 13. a4 d6 14. ეa2 მed7 15. h3 a5 16. კe3 მ:d5 17. cd ლf6 18. c4 ლg6 19. ლb1 კc8 20. კd4 მc5 21. მფh2 კd7 22. ეg1 h5 23. ეb2 ეe7 24. ლc1 ლf5 25. ლe3 f6 26. ეc2 მფf7 27. ეc3 ეae8 28. ეf1 მფg8 29. ლc1 ლg5 30. ლ:g5 fg 31. ეe3 მფh7 32. ეh1 მფg6 33. მფg1 მa6 34. მფh2 მb4 35. ეc1 g4 36. h4 კf5 37. მფg1 მფh7 38. მფf1 კg6 39. მფe1 ეf7 40. კh1 მფg8 41. კg2 (ჩაწერილი სვლა) მფh7 42. კh1. ყაიმი.

მოსკოვი, 7 ოქტომბერი. მატჩის X პარტია კორჩნოის ავადმყოფობის გამო დღეს არ შედგა.

# მხოლოდ რანიკუ...

ჯიქურ მიიწევს წინ მოსკოვის ჩემპიონი ე. ფათალიბეკოვა. მას ფეხდაფეხ მხოლოდ სსრ კავშირის თასის მფლობელი მ. რანიკუ (ტალინი) მიჰყვება. სხვა მეტოქენი საკმაოდ ჩამორჩნენ. ეს ნათელი შეიქნა VIII ტურისა და გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ.

VIII ტურში ფათალიბეკოვას მეტოქედ თანაქალაქელი ნ. მედიანიკოვა ჰყავდა. წინა ჩემპიონატში მედიანიკოვამ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, მაგრამ ამჯერად წარმატებით ვერ გამოდის. ლიდერთან იგი გარკვეულ მომენტამდე საუცხოოდ თამაშობდა. სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტში მედიანიკოვამ ორი კუს უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შემდგომ ლოგიკურ გეგმას ვერ მიაგნო, უაზროდ ამოძრავებდა ეტლს, მერე ნაჩქარევად დაძრა ლაზიერის ფრთის პაიკები და ინიციატივას ფათალიბეკოვა დაეუფლა. მისი ლაზიერი მედიანიკოვას პოზიციაში რომ შეიჭრა, პარტიის ბედიც გადაწყდა. 42-ე სვლაზე მოსკოვის ჩემპიონმა მეოთხე გამარჯვება იზეიმა.

უფიმცევის დაცვიდან მიღებულ პოზიციებში შეზღუდულობა მხოლოდ ენერგიული თამაშით შეიძლება დაძლიო. ასეც იქცეოდა ა. კისლოვა (ომსკი) რანიკუსთან შეხვედრაში, მაგრამ ესტონელმა ოსტატმა მყარი პოზიცია შექმნა. მისი კუ თეთრ უჯრებზე გაბატონდა. სწორედ ამ ფიგურის საუცხოო მდგომარეობამ წამოაწყებინა რანიკუს გონებამახვილური კომბინაცია: მან ხარისხის შეწირვით ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღო. ამ პაიკს კისლოვამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ უკან დააბრუნა ხარისხი, მაგრამ პაიკი მაინც ლაზიერში გავიდა. რანიკუმ გაიმარჯვა.

— მაიამ იჩქარა ლაზიერების ენდშპილში გადასვლა, ზედმეტი პაიკის გამოყენება შეუძლებელი იქნება, — გვითხრა ახალგაზრდა თბილისელმა ეტიუდისტმა დ. გურგენიძემ, როცა მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — ტ. კოსტინას (მინსკი) გადადებულ პარტიას ვარჩევდით. ამ პარტიაში, რომელიც ალიოხინის დაცვით დაიწყო, ნორჩმა ოსტატმა შესანიშნავად განავითარა ფიგურები, ცენტრი დაიპყრო და მეტოქეს იერიშითაც დაემუქრა. კოსტინამ პაიკის დაკარგვის შენიღბული მუქარა ვერ შენიშნა. უპირატესობის რეალიზება მაია ზერელედ მოეკიდა. სწორი იყო ნიჭიერი ეტიუდისტის შენიშვნა. ჩიბურდანიძეს ეტლები რომ შეენარჩუნებინა, ზედმეტ პაიკს ქულად გადააქცევდა. მეორე დღეს მეტოქენი თამაშის განუახლებლად დაზავდნენ.

ძალიან წარუმატებლად გამოდის თ. ხუგაშვილი. უკრაინის ჩემპიონ ლ. მულენკოსთან (ზაპოროჟიე) კარო-კანის დაცვაში მან საბრძოლო პოზიცია მიიღო, მე-14 სვლაზე მეტოქეს კუ შესწირა და თეთრ მეფეს თავს დაესხა. მოუმზადებელი ლაშქრობა მულენკომ დაკვირვებული თამაშით მოიგერია და გაიმარჯვა. ხუგაშვილი მტკიცე ნებისყოფის, გაუტეხელი ხასიათის მოჭადრაკეა, ამიტომ გაკვირვებას იწვევს მისი დუნე თამაში. მდგომარეობის გამოსწორება გვიან არ არის.

მ. შულმა (ლვოვი) ტ. პოპოვას (მოსკოვი) სძლია, ტ. ფომინამ (ტალინი) — თ. გოლოვეის (მინსკი). სამი პარტია გადაიდო.

კვირას გადადებული პარტიების დამთავრება გვიანობამდე გაგრძელდა. ოთხი პარტია კვლავ გადაიდო.

ე. ბახრეხი (მოსკოვი) დანებდა ფათალიბეკოვას, კოსტინა და პოპოვა ყაიმზე შეთანხმდნენ.

სხვა პარტიებში ბრძოლამ ახალი ძალით იფეთქა. ც. კობაიძემ კოსტინასთან ძნელ ენდშპილში მეთოდურად გამოიყენა იოტისოდენა უპირატესობა და გაიმარჯვა. ხუგაშვილი შეუპოვრად იცავდა მძიმე პოზიციას კოზლოვსკაიასთან პარტიაში, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა.

რ. ბილუნოვამ (მოსკოვის ოლქი) სწრაფად დაადგვირგვინა იერიში ბახრეხის გვირგვინოსანზე, მერე კი ფომინასთანაც გაიმარჯვა პატარა უპირატესობის ოსტატური რეალიზებით. გოლოვეიმ მოუგო მულენკოს.

8 ტურის შემდეგ ე. ფათალიბეკოვას 7,5 ქულა აქვს, მ. რანიკუს — 6,5. შემდეგ მოდიან: ც. კობაიძე, მ. შული — 4,5-4,5, ა. კისლოვა — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. ფომინა, ნ. მედიანიკოვა, რ. ბილუნოვა, ტ. კოსტინა, მ. ჩიბურდანიძე — 4-4, ვ. კოზლოვსკაია — 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

**თ. გიორგაძე.**

• • •






სურათზე: საერთაშორისო ოსტატების ა. კისლოვას (მარცხნივ) და ვ. კოზლოვსკაიას შეხვედრა.

ა. კავკასიძის ფოტო.

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

შაბათს გათამაშების ლიდერი „იფსვიჩ თაუნი" სტუმრად დამარცხდა „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" — 0:1. „ლივერპულმა" ასევე სტუმრად ამავე ანგარიშით სძლია I ლიგის დებიუტანტ „კარლაილ იუნაიტედს". გოლი გაიტანა კენედიმ.

„მანჩესტერ სიტიმ" შინ ფრედ ითამაშა ლონდონის „ჩელსისთან" — 1:1. ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედმა" (მისი ახალი მწვრთნელი წარსულში ცნობილი მცველი ჯიმი არმფილდია) თავის მინდორზე მოუგო ლონდონის „არსენალს" — 2:0.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" საკუთარ მინდორზე დამარცხდა „ბერნლისთან" — 2:3.

ამ ტურში ინგლისის ფეხბურთის „რეკორდი" დამყარდა — მინდვრიდან გააძევეს 10 (!) ფეხბურთელი.

აი, ლიდერებიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „იფსვიჩ თაუნი" | 11 | 18:7 | 16 |
| „ლივერპული" | 11 | 18:8 | 15 |
| „მანჩესტერ სიტი" | 11 | 15:12 | 15 |
| „ნიუკასლ იუნაიტედი" | 10 | 17:14 | 13 |

II ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" მოუგო „ფულჰემს" (2:1) და კვლავ ლიდერობს.

### შოტლანდია

შაბათს „გლაზგო რეინჯერსმა" შინ დაამარცხა „მორტონი" — 2:0. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა" სტუმრად მოუგო „დამბარტონს" — 3:1. გლაზგოელთაგან გოლები გაიტანეს: ჯონსტონმა, დინსმა და დალგლიშმა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი" | 6 | 17:6 | 11 |
| „სელტიკი" | 6 | 20:9 | 10 |
| „მორტონი" | 6 | 8:7 | 7 |

### ესპანეთი

გუშინწინ მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „რეალი" და „ატლეტიკო". „რეალის" თავდამსხმელმა სანტალიანამ ამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა — 1:0.

„ბარსელონამ" შინ მოუგო „ვალენსიას" — 5:2. ბარსელონის „ესპანიოლმა" სტუმრად სძლია „ელჩეს" — 4:2.

4 ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ „ესპანიოლი" და მადრიდის „რეალი". „ბარსელონა" 6 ქულით III ადგილზეა.

### გფრ

შაბათს გამართულ VII ტურში ერთი შეხვედრა უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა: მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა" შინ მოუგო ესენის „როტ-ვაისს" — 9:1. ფრანკფურტელთა შორის საუკეთესო იყო გფრ-ის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი ჰოლცენბაინი, რომელმაც 3 გოლი გაიტანა. ამ გამარჯვების შედეგად „აინტრახტი" I ადგილზე გავიდა, ვინაიდან ლიდერმა „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" „კაიზერსლაუტერნთან" წააგო — 0:1.

გფრ-ის სუპერ-კლუბი და ჩემპიონი — მიუნჰენის „ბაიერნი" XI ადგილზე გადაბარგდა: შაბათს ჩემპიონმა ბრაუნშვაიგში წლეულს უკვე მეოთხე მატჩი წააგო, ამჯერად ადგილობრივ „აინტრახტთან" — 1:3 (წინა ტურში კი შინ დამარცხდა გელზენკირხენის გუნდთან „შალკე 04"—0:2). I ლიგაში წლეულს დაბრუნებულ ბრაუნშვაიგელთა სამ გოლზე მატჩის მიწურულს მიუნჰენელმა ჰიონესმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აინტრახტი" (ფრანკფურტი) | 7 | 26:8 | 11 |
| „აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი) | 7 | 18:7 | 11 |
| „ბორუსია" (მენჰენგლადბახი) | 7 | 18:8 | 11 |
| „ჰამბურგერ შფ" | 7 | 12:4 | 11 |
| „შალკე 04" | 7 | 13:5 | 10 |

### ჰოლანდია

ტურის ცენტრალური შეხვედრა ამსტერდამში ადგილობრივ „აიაქსსა" და ენსხედეს „ტვენტეს" შორის ამსტერდამელებმა მოიგეს — 1:0. „ფეს ეინდჰოვენმა" როტერდამში ანგარიშით 3:1 სძლია ადგილობრივ „ექსცელსიორს", ხოლო ჩემპიონმა — როტერდამის „ფეიენოორდმა" სტუმრად მოუგო „ჰაარლემს" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი" | 5 | 14:3 | 10 |
| „ფეს ეინდჰოვენი" | 5 | 16:6 | 10 |
| „ფეიენოორდი" | 5 | 20:3 | 8 |

### საფრანგეთი

X ტურში ბორდოს „ჟირონდენმა" სტუმრად ფრედ ითამაშა „ანჟერთან" — 2:2. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „სენტ-ეტიენმა" რეიმსში მოუგო ადგილობრივ „სტად რეიმსს" — 2:0. ჩემპიონი მხოლოდ X ადგილზეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 9 | 20:12 | 14 |
| „ჟირონდენი" | 10 | 17:13 | 14 |
| „სტად რეიმსი" | 10 | 21:16 | 14 |

### ბელგია

მოლენბეკის „რასინგ ვიტმა" შინ აჯობა „მეხელენს" — 3:2. ჩემპიონმა — ბრიუსელის „ანდერლეხტმა" სტუმრად დაამარცხა მონტინის „ოლიმპიკი" — 5:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 8 | 18:3 | 12 |
| „რასინგ ვიტი" | 8 | 16:8 | 12 |
| „ლიერსი" | 8 | 13:7 | 10 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ" პორტუში სძლია ადგილობრივ „ლეიქშოიშს" — 2:1. გიმარაიშის „ვიტორიამ" ლისაბონში მოუგო ჩემპიონსა და თასის მფლობელს — ადგილობრივ „სპორტინგს" — 3:2. ლისაბონის „ბელენენსემმა" თავის მინდორზე ფრედ ითამაშა „პორტუსთან" — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 4 | 12:3 | 7 |
| „ვიტორია" (გიმარაიში) | 4 | 14:4 | 6 |
| „პორტუ" | 4 | 7:5 | 6 |

### გდრ

„მაგდებურგმა" თავის სტადიონზე მოუგო „ჰემის" — 2:0. ორივე გოლი მაგდებურგელთა ნახევარმცველმა პომერენკემ გაიტანა.

ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსმა" შინ დაამარცხა შტრალზუნდელ თანაკლუბელთა გუნდი — 5:0. სამი გოლი ანდრიჰმა გაიტანა, რომელიც 9 ბურთით ლიდერობს სნაიპერთა სიას. პომერენკე („მაგდებურგი") 7 გოლით მეორეა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი" | 7 | 23:8 | 13 |
| „კარლ ცაისი" (იენა) | 7 | 13:3 | 13 |
| „ზაქსენრინგი" (ცვიკაუ) | 7 | 10:7 | 9 |

### ჩეხოსლოვაკია

ბრატისლავაში გათამაშების ლიდერმა — ადგილობრივმა „ინტერმა" მოუგო პრაღის „დუკლას" — 3:1. დედაქალაქში ადგილობრივმა „სპარტამ" აჯობა ჩემპიონსა და თასის მფლობელს — ბრატისლავის „სლოვანს" — 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 8 | 21:12 | 10 |
| „დუკლა" | 8 | 12:8 | 10 |
| „კოშიცე" | 8 | 20:11 | 9 |

### უნგრეთი

7 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „უიპეშტ დოჟა" | 6 | 21:6 | 12 |
| „ჰონვედი" | 7 | 15:5 | 11 |
| „ფერენცვაროში" | 7 | 18:7 | 10 |

### პოლონეთი

7 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვისლა" (კრაკოვი) | 7 | 10:3 | 11 |
| „სტალი" (მელეცი) | 7 | 7:4 | 10 |
| „რუხი" (ხოჟუვი) | 7 | 12:5 | 9 |

(საქ. ინფ.).



## ტელევიზიის ანაზღაურება

საბოლოოდ დამთავრდა „მარათონული მოლაპარაკება" დასავლეთ გერმანიის საფეხბურთო ლიგებსა და ტელევიზიას შორის ჩემპიონატის მატჩების გადაცემის თაობაზე. გერმანიის ტელევიზია მიმდინარე სეზონის განმავლობაში პირველ ლიგაში მოთამაშე გუნდებს საერთო ჯამში გადაუხდის 3,6 მილიონ მარკას, ესე იგი 200 ათას მარკას თითოეულ კლუბს.

ანაზღაურება ექნებათ მეორელიგელებსაც — 800 ათასი მარკა, ესე იგი 20 ათასი მარკა პირველობის მონაწილე ორმოცივე კლუბს (თითოეულს).

## ვანკუვერმა მოხსნა თავისი კანდიდატურა

ჟენევა, 4 ოქტომბერი (საკდესი). კანადის ქალაქმა ვანკუვერმა მოხსნა თავისი კანდიდატურა 1980 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველთა სიიდან. ამგვარად, XIII თეთრი ოლიმპიადის ორგანიზაციის ერთადერთ პრეტენდენტად რჩება ქალაქი ლეიკ-პლესიდი (აშშ). ამის შესახებ დღეს გამოაცხადა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის კომუნიკეში.

ვანკუვერის ხელისუფლებმა სოკ-ს აცნობეს, რომ მათი უარის მიზეზია ფინანსური სიძნელეები.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე კვლავ პრეტენზიას აცხადებენ მოსკოვი და ამერიკის ქალაქი ლოს-ანჯელესი.

სოკ-ი საკითხს გადაწყვეტს 23 ოქტომბერს ვენაში გამართულ სესიაზე.

**რედაქტორი მ. ქაქაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02853